ბასა ჯანიკაშვილი

თითით საჩვენებელი

კომედია ერთ მოქმედებად და სამ სურათად

მოქმედი პირნი:

თამაზი

გულიკო

ქურდი

ირინა და სანდრო – ცოლ-ქმარი

პოლიციელი

თითით საჩვენებელი ხალხი ძალზე ცოტაა და სხვებისგან გამოირჩევიან. ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, რომ არსებობენ ისინი, ვისაც რაღაც შეემთხვა, და ჩვენ, ვინც ამბობს, რომ მათ რაღაც შეემთხვათ.

სურათი პირველი

(თამაზის კეთილმოწყობილი ბინა. თამაზს ტელევიზორთან ჩასძინებია. კარზე ზარი რეკავს. თამაზი დგება, კართან მიდის და საჭვრეტში დიდხანს იცქირება. ზარი მეორდება. თამაზი კარის გაღებას არ ჩქარობს, მაგრამ სხვა გზა არა აქვს და აღებს. გამოჩნდება ქურდი).

ქურდი

თუ შეიძლება შემოვალ?..

თამაზი

რა ბრძანეთ?

ქურდი

(თამაზს მუჯლუგუნს კრავს და ოთახში შეაგდებს). შემოვალ-მეთქი!

(თამაზი ეცემა. ქურდი კარს კეტავს, დანას კისერზე მიადებს).

თამაზი

ეს რას ნიშნავს? თავს დამესხით?

ქურდი

ფული!

თამაზი

არ მეგონა, ასე ჩვეულებრივად რომ მოხდებოდა ყველაფერი...

ქურდი

(საყელოში ხელს წაავლებს და წამოაყენებს). ფული-მეთქი!

თამაზი

თქვენ ჩემ წინ დგახართ, დანას მადებთ, გაძარცვას მიპირებთ და თითქოს არაფერია ამაში არანორმალური.

(ქურდი მუშტს მუცელში უთავაზებს, თამაზი ჩაიკეცება და დაეცემა. ქურდი წიხლსაც დაამატებს).

ქურდი

ფული, შე ბრიყვო! *(საყელოში სწვდება და წამოაყენებს).* არ გესმის, რასაც გეუბნები?! ფული ან რამე ისეთი, ჩქარა!

თამაზი

მე არ მეშინია, უბრალოდ მიკვირს...

ქურდი

(დაარტყამს. თამაზი დაეცემა). არ გესმის, რას გეუბნები?! ადექი და მოიტა, რაცა გაქვს! *(წამოაყენებს).* ადექი, ჩქარა!

თამაზი

მე არ მეშინია, მიკვირს, ასე რომ მოხდა ყველაფერი...

ქურდი

(საყელოთი დაათრევს), სად არის ფული, თუ გინდა სხვანაირად დაგელაპარაკო?!

თამაზი

სწორედ გამიგეთ, თითით საჩვენებელი ხალხი ცოტანი არიან და ყველასგან გამოირჩევიან, გეგონება ხალხის ორი კატეგორია არსებობს: ერთნი, რომელთაც რაღაც შეემთხვათ და მეორენი, რომლებიც ამბობენ, რომ მათ რაღაც შეემთხვათ...

ქურდი

(ისტერიულად) იტყვი თუ გამოგჭრა ყელი?! ჩქარა მითხარი, მითხარი ჩქარა, ჩქარა!!!

თამაზი

დაწყნარდით, დამშვიდდით, თქვენი გაბრაზება არც მიფიქრია... ყველაფერს გეტყვით, ოღონდ არ ინერვიულოთ...

(ქურდი ხელს უშვებს. სიჩუმე).

თამაზი

ხელი რატომ გამიშვით?

ქურდი

(სკამზე ჩამოჯდება). რა გინდა ჩემგან?

თამაზი

თქვენგან არაფერი. უბრალოდ... უბრალოდ ვცდილობ აგიხსნათ, რასაც ვგრძნობ, მეტი არაფერი.

ქურდი

არ მაინტერესებს, გესმის შენ ეს?! არ მაინტერესებს, გესმის თუ არა შენ! არ მაინტერესებს!

თამაზი

დაწყნარდით ახლავე, ახლავე მოგცემთ ფულს... *(ტახტის გამოწევა უნდა. იქ ფული აქვს დამალული).* ახლა ამ ტახტს გავხსნი, ფული მაქვს იქ დამალული. რამე ისეთი არ გეგონოს.

ქურდი

გამოდი აქეთ!.. ამ ტახტის ქვეშ გაქვს ფული? შენ რა, მაშაყირებ?

თამაზი

მე ვიფიქრე, რამე ისეთი არ გეფიქრათ, იქ ფულია, ისეთი არაფერი...

ქურდი

ისეთი რა უნდა იყოს!

(ხელს ჰკრავს. თამაზი უკან გადავარდება და სავარძელში ჩახტება. ქურდი ტახტს გახსნის და ღამის ქოთანს ამოაძვრენს. ქურდი ქოთანში იყურება).

ქურდი

სულ ეს არის?!

თამაზი

რამდენია, რო?! რატომ, რატომ არის მანდ ასე ცოტა?! ასე ცოტა მანდ არ უნდა იყოს?! ა-ა... ტელევიზორი ვიყიდე ამას წინათ.

ქურდი

რას მიედ-მოედები!

თამაზი

თქვენ ვერ გამიგეთ. რაც უნდა იყოს, ბოროტმოქმედი ბოროტმოქმედია და თავდასხმა ყოველდღე არ ხდება. არა, მე არ შემშინებია, უბრალოდ გამიკვირდა.

ქურდი

სხვა რა გაქვს?

თამაზი

რასაც ხედავთ.

(ქურდი ოთახს ათვალიერებს).

თამაზი

არ მეგონა, ასე თუ გაღიზიანდებოდით.

ქურდი

რა?

თამაზი

არ მეგონა, ასე ჩვეულებრივად თუ მოხდებოდა ყველაფერი.

ქურდი

ეს ჩვეულებრივია?

თამაზი

ყაჩაღი ჩემ წინ დგას, მძარცვავს და თითქოს არაფერია ამაში არანორმალური. შეიძლება სიგარეტი მოვწიო?

ქურდი

(უჯრებში იქექება). აქ რა არის?

თამაზი

აბა? *(მიდის, ერთად ეძებენ).* აი, ეს მამაჩემმა მისახსოვრა, ძველებური საათია. წაიღეთ.

ქურდი

გმადლობთ.

თამაზი

სიგარეტი არა გაქვთ?

(ქურდი ჯიბიდან სიგარეტსა და სანთებელას ამოიღებს).

თამაზი

(სიხარულით) აღარ გეშინიათ ჩემი?

ქურდი

კარგი საათია. *(საათს ათვალიერებს).* მოდი, მომეხმარე, სიგარეტს მერეც მოსწევ.

თამაზი

(სიგარეტს უკიდებს). აბა, ბოლო უჯრაში ნახეთ, იქ ცხონებული დედაჩემის შემორჩენილი ბეჭდები უნდა იყოს. *(ჯიბიდან საფულეს ამოიღებს).* აი, აქაც ყოფილა რაღაც ხურდები.

ქურდი

მოიტა აქ.

თამაზი

ინებეთ.

ქურდი

შენ პურის ფული გრჩება?

თამაზი

არა, არა მგონია.

ქურდი

აი, ეს დაიტოვე. *(ფულს უბრუნებს).*

თამაზი

როგორ გეკადრებათ, როგორ მიბრუნებთ, აბა, მე ამას ვიკადრებ?

ქურდი

(ფულს იჯიბავს). რაო, ბოლო უჯრაშიო? *(ეძებს).*

თამაზი

(სავარძელში რბილად მოკალათდება. საფერფლეს მუხლებზე დაიდებს). ხალხში დადის ისეთი აზრი, როდესაც თავს დაგესხმიან, თითით საჩვენებელი ხდები. ყველა შენზე მიუთითებს. აი, ეს გაქურდეს, ამას ბინა გაუტეხეს, იმას მოჰპარეს, ეს გაიტაცეს... *(ღრმა ნაფაზს დაარტყამს)* ფუუ... სინამდვილეში თავგამოსადები ამაში არაფერია.

ქურდი

ვერ ვპოულობ, ჩააქრე ეგ სიგარეტი და მოდი აქ.

თამაზი

სიგარეტს მინდა დავანებო თავი. დღეს პირველ ღერს ვეწევი. იქნებ მადროოთ მოწევა. *(ღრმა ნაფაზს დაარტყამს)* ფუუ... თითქმის ბედნიერი ვარ!..

ქურდი

ეე, ბრიყვო, სად არის დედაშენის ბეჭდები?

თამაზი

(ღრმა ნაფაზს დაარტყამს) ფუუ... შემოხვედით, ფულს მთხოვთ, დანით მემუქრებით და მალე წახვალთ. ეს არის და ეს. მართალი გითხრათ, მიხარია კიდეც. ახლა ჩემზე თითით აჩვენებენ და ვინ იცის, ეგებ კარგ საცოლესაც გამოვკრა ხელი. დროა უკვე... რეალურად კი არაფრის გაკეთება არ არის საჭირო.

ქურდი

მე შენ გელაპარაკები! *(ქეჩოში ხელს წაავლებს და ძირს დააგდებს).* სად არის-მეთქი ბეჭდები!

თამაზი

(ახველებს). სიგარეტის მოწევას არ გაცლიან!

ქურდი

(ზეზე წამოაყენებს, დანას ყელზე მიადებს). შენ, მე მგონი, ცოტას ურევ. ბეჭდები სად არის-მეთქი!

თამაზი

(გაოცებული) რა ხდება, რა მოგდით!

ქურდი

ბეჭდები-მეთქი, ბრიყვო!

თამაზი

ახლავე, დაწყნარდით, არც მე მახსოვს...

(თამაზს მუჯლუგუნებით კარადიდან სერვანტისკენ მიათრევს).

თამაზი

დამავიწყდა, წლები არ მინახავს, მოსაძებნი მაქვს.

ქურდი

მოძებნე, მერე!

თამაზი

ახლავე, ახლავე, ხომ ყველაფერს გისრულებთ? ასე ნუ მექცევით. ახლავე მოვძებნი. რა, თქვენი მოტყუება რომ მინდოდეს, ამდენ ხანს...

ქურდი

დიდხანს ეძებ!

თამაზი

არ მოვძებნო?!

ქურდი

დიდხანს ეძებ, საეჭვოდ დიდხანს ეძებ!

თამაზი

(ძალით ითავისუფლებს თავს). მე თქვენგან ამას არ მოველოდი!

ქურდი

(მუცელში მუშტს ურტყამს. თამაზი ეცემა). ამას თუ მოელოდი?! სად არის ბეჭდები!

თამაზი

(ძალდატანებით) აბა, გაზის უკან ნახეთ, გაზის უკან, იქ უნდა იყოს.

ქურდი

აქ ეგდე, არ გაინძრე. *(სამზარეულოში გადის, გაზქურას გამოსწევს და იქიდან პატარა, მტვრიან კოლოფს ამოიღებს).* აქ ყოფილა. *(ათვალიერებს).* ძვირფასია თუ იცი?

(თამაზი ტკივილისაგან ვერ უპასუხებს).

ქურდი

(გამოდის ოთახში). ჰო, კარგი, წამოდექი, გეყოფა ახლა... ძვირფასია-მეთქი?

თამაზი

დედაჩემისაა... როცა მიჭირს, ვყიდი ხოლმე.

ქურდი

ცოლი არა გყავს? ცოლი რომ გყავდეს, გაზის უკან არ დამალავდი, არა? ჰა, ჰა, ჰა... და მშიერიც მოკვდებოდი.

თამაზი

რატომ დამარტყით?

ქურდი

(სამკაულებს ათვალიერებს). აბა, რა გეგონა, რომ მიმალავდი? დიდხანს იგორავებ მანდ კიდევ?

თამაზი

(გაჭირვებით დგება). მწარე ხელი გქონიათ.

ქურდი

აბა, ბებოს ნაქონი ჭურჭელი სადაა?

თამაზი

აი, თურმე როგორი ყოფილა ქურდის სახლში შემოჭრა.

ქურდი

(სერვანტთან მიდის, ჭურჭელს ათვალიერებს). როგორი?

თამაზი

ისეთი არაფერი, თითით საჩვენებელი რომ გახდე.

ქურდი

ეს ძვირფასია?

თამაზი

მაღაზიაში ვიყიდე. სულ უხმარია.

ქურდი

ძვირფასია-მეთქი?!

თამაზი

არა მგონია. ისე, უხმარი კია.

ქურდი

ეს რა ჭაღი კიდია? *(ჭაღს ათვალიერებს).* ძვირფასია?

თამაზი

რა ვიცი, ისე უხმარი კია.

ქურდი

რაა?

თამაზი

ახლა მივხვდი... თქვენ თვითონ არა ხართ ისეთი, როგორიც წარმომედგინეთ.

ქურდი

აბა შენა გყოლია, აი? ჭაღი არ ვარგა. *(ოთახს თვალს მოავლებს).* წავედი მე...

თამაზი

ერთი წუთით... იმედი მაქვს, არავის ეტყვით, რომ ყველაფერმა ასე ჩაიარა.

ქურდი

რაა?

თამაზი

როგორც წესი, დაზარალებული და თავდამსხმელი ამის შესახებ არ საუბრობენ ხოლმე. ორივენი ჩუმად არიან...

ქურდი

რა გინდა, პოლიციას მე გამოვუძახო?

თამაზი

არა, პოლიციას მე თვითონ დავურეკავ.

ქურდი

წავედი.

თამაზი

მოითმინეთ, შეჩერდით... ძალიან გთხოვთ, კიდევ ერთხელ დამარტყით.

(ქურდი დასარტყმელად გაიწევს).

თამაზი

(უკან იხევს). ...ოღონდ თქვენებურად, მაგრად მომცხეთ, ჯერ მუცელში, მერე აპერკოტით ყბაში, რომ წავიქცე და გონება დავკარგო.

ქურდი

რატომ უნდა დაკარგო გონება?

თამაზი

იმიტომ, რომ ასეა საჭირო...

ქურდი

არა, მაგას არ ვიზამ. *(გასვლას დააპირებს).*

თამაზი

(ხელით აჩერებს). გთხოვთ, არ წახვიდეთ, დამარტყით და ისე...

ქურდი

დამანებე თავი...

თამაზი

აგიხსნით... *(მკლავში ხელი აქვს ჩავლებული და არ უშვებს).*

ქურდი

არ მინდა, არ მინდა, დამანებე თავი...

თამაზი

(არ უშვებს). ...გონებას რომ დავკარგავ, ვიწვები თვალდახუჭული და მეცოდინება, რომ გონებადაკარგულ კაცს თვალის გახელა არ შეუძლია. აბა, თუ თვალი გავახილე, მაშინ გამოვა, რომ გონება არ მქონია დაკარგული. დამარტყი რა მუცელში მაგრად, მერე აპერკოტი ყბაში და წადი ისე... *(ხელს უშვებს).*

ქურდი

ძალიან მთხოვ?..

თამაზი

ჰო...

ქურდი

კარგი, მაშინ მოდი, აი, ასე დამიდექი...

თამაზი

ჯერ მუცელში დამარტყი, მერე ყბაში და კიდევ თუ არ წავიქეცი, წიხლი დამაყოლე...

(ქურდი დასარტყმელად გაიწევს).

თამაზი

იცოდე, არ იეშმაკო!

ქურდი

(ემზადება. პაუზის შემდეგ) არ შემიძლია.

თამაზი

მაშინ დამიბრუნე ნაქურდალი!

ქურდი

არ შემიძლია, ისე არ შემიძლია და მომკალი თუ გინდა!

თამაზი

(არ ეშვება). მაშინ დამიბრუნე, მაშინ დამიბრუნე!

ქურდი

(იგერიებს). მომცილდი, დამანებე თავი!..

თამაზი

დამარტყი, დამარტყი ან დამიბრუნე...

ქურდი

შემეშვი...

(ამ გაწევ-გამოწევაში ქურდი მუცელში მუშტს უთავაზებს, თამაზი ჩაიკეცება. ქურდი ყბაში მოსცხებს და შემდეგ ერთ გემრიელ წიხლსაც დაამატებს. თამაზი ეცემა. ქურდი გარბის).